



სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“

წერილი ხელმძღვანელობას 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარისგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ.



სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე. აუდიტის პერიოდი მოიცავს 2015 წლის 1 იანვრიდან , 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მე-2 და მე-3 გვერდებზე არსებული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამორჩეულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა .
აუდიტორული კომპანია ფინანსური მართვის ჯგუფი პასუხისმგებელია მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ასოციაციის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას პასუხისმგებელია:
მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2016 წლის 29 ივნისი

მთავარი ბუღალტერი

გელა არსენაშვილი

29 ივნისი 2016

თბილისი, საქართველო

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებების და შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტის სამართლებრივი რეგულაცია

ასოციაციის საქმიანობა რეგულირდება წესდების საფუძველზე, სადამფუძნებლო დოკუმენტების შესაბამისად ასოციაცია „წარმოადგენს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის კორპორაციას და შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ და ადვოკატთა შესახებ კანონების საფუძველზე“ რეგისტრირებულია 2005 წლის 22 მარტიდან .ეწევა წესდებით განსაზღვრულ საქმიანობას იუსტიციის და სამართლის საქმეში .ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობასაც (ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას სასწავლო ცენტრის საქმიანობას და სავალდებულო , განგრძობითი იურიდიული განათლების პროგრამას, სხვა პროექტების განხორციელებას , გამოსცემს ასოციაციის პერიოდულ ჟურნალს „). დღგ-ს გადამხდელია 2007 წლის 24 იანვრიდან.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების

შემუშავებისთვის, მაგრამ არა ასოციაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

31/12/2015

აქტივები

ფული და ფულადი ექვივალენტები და ნაშთები	1	78808
ავანსები	2	667

ჯამურად მიმდინარე აქტივები **79475**

ძირითადი საშუალებები	3	1150823
----------------------	---	---------

სულ გრძელვადიან აქტივები 1150823

სულ აქტივები 1230298

ვალდებულებები

ვალდებულებები მიწოდებიდან და მომს.	4	912
------------------------------------	---	-----

საგადასახადო ვალდებულება	5	21567
--------------------------	---	-------

გრძელვადიანი სესხები	6	185464
----------------------	---	--------

სულ ვალდებულებები 207943

კაპიტალი

რეზერვები და დაფინანსება	7	1022355
--------------------------	---	---------

გაუნაწილებელი მოგება
 გადაფასების რეზერვი

სულ კაპიტალი 1022355

სულ ვალდებულებები და კაპიტალი 1230298

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2015	
ნაშთი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	130361
ნაშთი საანგარიშო პერიოდის დასასრულს	78808
შემოსავალი ასოციაციის საქმიანობიდან	
შემოსავალი საწევრო გადასახადებისგან	575242
შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან	289277
შემოსავალი გრანტებიდან	47650
ბანკიდან აღებული სესხი	200000
ჯამი	1112169
ფულადი გასავალი საოპერაციო საქმიანობიდან	
ხელფასები	331350
მედია გეგმის ბიუჯეტი	33893.48
მივლინება	3500
სასწავლო ცენტრის იურიდიული განათლების ხარჯი	135514.31
სარემონტო ხარჯები	4673.3
ჟურნალი	20825
ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისია	352.75
სისხლის სამართლის კომიტეტი	777.55
სამოქალაქო სამართლის კომიტეტი	3418.21
საერთაშორისო ორგანიზაციებში გადასარიცხი თანხები	5297.54
ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი	19600
სარევიზიო კომისია	4347.5
რეგიონალური განვითარების ხარჯი	6831.15
ახალი ოფისის შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი	3102.07
გადასახადები	160548
ოფისის შესყიდვა	314374
სხვა ძირითადი საშუალებები	7614
წიგნები გამოცდებისთვის	15854
იჯარა გამოცდების დარბაზისთვის	4972
გამოცდების პროგრამული უზრუნველყოფა	3600
სტიქიის ფონდი დახმარება	1054
სხვა ხელფასები	28671.6
კომუნალური	18513.49
კომუნიკაცია	19738.47
პრემია	3625
საწვავი	2488
საკანცელარიო	4671.2
კრების ჩატარების ხარჯი	4514.9
სულ	1163721.5

კაპიტალის მოძრაობის უწყისი	2014	მიმდინარე წლის	2015
საკუთარი კაპიტალი	654520		654520
გრანტით მიღებული დაფინანსება	1095.17	9828	10923.17
მიმდინარე წლის მოგება ეკონ.საქმიანობიდან)	207810	45591	253401
კაპიტალის ზრდა საწევრო გადასახადიდან	173109	-69699	103410
ჯამი	1036534.17	-14280	1022254.17

ცხრილიდან ჩანს რომ დაფიქსირდა კაპიტალის კლება 14280 ლარით აღნიშნული სხვაობა ძირითადად განპირობებულია იმით რომ 2015 წელს ასოციაციამ გაწია იმაზე მეტი ხარჯი ვიდრე უფიქსირდებოდა შემოსავალი.



მოგება - ზარალი		31.12. 2015 წ.
შემოსავალი ეკონომიური საქმიანობიდან	7	242196.32
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	-87514
სხვა საოპერაციო ხარჯები		-96280
საპროცენტო ხარჯი		-4767
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		53635.32
მოგების გადასახადი ფინანსური კუთხით		-8045.298
წმინდა მოგება		45590.022

მთავარი ბუღალტერი

გელა არსენაშვილი

29 ივნისი 2016

თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“

წარდგენის საფუძველი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ დაფუძნდა 2005წელს, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, საქართველოში მოქმედ ადვოკატთა პროფესიული უფლებების დაცვა, მათი პროფესიული გადამზადება, ახალი წევრების მიღება(საკვალიფიკაციო ტესტების საფუძველზე).ადვოკატთა ასოციაცია მომდევნო

წლის ბიუჯეტირებას ახდენს მიმდინარე წლის ბოლოს, რომელიც მტკიცდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ აღნიშნული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მისი საქმიანობიდან გამომდინარე განიცდის კორექტირებას კალენდარული წლის განმავლობაში. ქვემოთ მოყვანილია ცხრილი სადაც აღვწერთ ზემოთ მოხსენიებულ ცვლილებებს და ფაქტიურად გაწეული ხარჯის მიმართებას წლიურ ბიუჯეტთან.

	დასახელება	დაგეგმილი	რეალური	სხვაობა	%
1	ხელფასი	331350	331350	0	0.00%
2	მედია-გეგმის ბიუჯეტი	39100	33893	5207	13.32%
3	სამიგლინებო ხარჯი	5000	3500	1500	30.00%
4	სასწავლო ცენტრის იურიდიული განათლების ხარჯი	120000	135514	-15514	-12.93%
5	სარემონტო ხარჯები	5000	4673	327	6.54%
6	ბიბლიოთეკის წიგნების ფონდის შევსების ხარჯი	3000		3000	100.00%
7	ჟურნალი	9200	10825	-1625	-17.66%
8	ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისია	1000	353	647	64.70%
9	სისხლის სამართლის კომიტეტი	5000	778	4222	84.44%
10	სამოქალაქო კომიტეტი	5000	3418	1582	31.64%
11	კომერციული სამართლის კომიტეტი	5000		5000	100.00%
12	საერთაშორისო ორგანიზაციებში გადასარიცხი თანხები	5000	5298	-298	-5.96%
13	ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის ხარჯი	25000	19600	5400	21.60%
14	სარევიზიო კომისია	10000	4348	5652	56.52%
15	რეგიონალური განვითარების ხარჯი	10000	7431	2569	25.69%
16	სხვადასხვა	71200	78371	-7171	-10.07%
17	ახალი ოფისის შესყიდვის ხარჯი	320000	317476	2524	0.79%
18	სესხის მომსახურება	19300	19302	-2	-0.01%
	ჯამი	989150	976130	13022	1.32%

როგორც ცხრილიდან ჩანს ყველაზე დიდი გადახარჯვები არის სასწავლო ცენტრის იურიდიული განათლების ხარჯებში და ჟურნალის გამოშვების ხარჯში, აუთვისებელია კომერციული სამართლის კომიტეტის ლიმიტი, აგრეთვე აუთვისებელია რეგიონალური განვითარების პუნქტში დაგეგმილი ხარჯები. სისხლის სამართლის კომიტეტის ხარჯი 84.45% ია აუთვისებელი. თავდაპირველ დაგეგმვაში ფულადი ნაკადების ხარჯებში შესულია ცვლილებები კერძოდ შესყიდულია ახალი ოფისი ზუბალაშვილების 33 ნომერში 317476 ლარად დამატებითი აუდიტორიის მოსაწყობად, ორგანიზაციას ამისთვის დაჭირდა სესხი 200000 ლარის ოდენობით აღნიშნული თანხა კომპანიამ მოიზიდა სს „ვი თი ბი“ ბანკისგან 2 წლის ვადით, ზემოთ ხსენებულ სესხზე 2015 წელში გადახდილია 19302 ლარი (14535 ძირი, 4767 პროცენტი).

დასახელება	დაგეგმილი	რეალური	სხვაობა	%
კომუნალური	21200	18513.49	2686.51	12.67%
კომუნიკაციის	16000	19738.47	-3738.47	-23.37%
პრემია	4000	3625	375	9.38%
საწვავი	3000	2488.6	511.4	17.05%
საკანცელარიო	9000	4671.2	4328.8	48.10%
ყოველწლიური კრების ჩატარება	5000	4514.9	485.1	9.70%
სხვა და სხვა ხარჯი	13000	24819.6	-11819.6	-90.92%
ჯამი	71200	78371.26	-7171.26	-10.07%

ცხრილიდან ჩანს რომ გადახარჯვა არის კომუნიკაციის ხარჯებში , აგრეთვე სხვა და სხვა ხარჯში, აუთვისებელია საკანცელარიო ხარჯი და საწვავის ხარჯი დანარჩენი ძირითად ასპექტებში ემთხვევა.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ჩამოწერას ექვემდებარება, როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება, ან გასდის ვადა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტიურ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არ ანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	20%
ავეჯი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
დანარჩენი ძირითადი საშუალებები	15%
შენობა ნაგებობები	5%

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესების ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდზე. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწვევითანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის იმისათვის, რომ დადგინდეს აღემატება თუ არა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება მათ აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება აღემატება სამართლიან ღირებულებას გაყიდვის ხარჯების და არსებული ღირებულების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების აღდგენით ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის რომ თანაბრად გადანაწილდეს გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (თუ ასეთი არსებობს) დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

ძირითადი საშუალებები მოცემულია გადაფასებული თანხით, რომელიც წარმოადგენს გადაფასების თარიღისათვის სამართლიან ღირებულებას, რომელიც განისაზღვრა საბაზრო პრაქტიკაზე დაყრდნობით პროფესიონალი შემფასებლის მიერ

არჩეული შეფასებით, დაკლებული შემდგომი აკუმულირებული ამორტიზაცია და შემდგომი აკუმულირებული დანაკარგები. გადაფასება ხორციელდება ისე რომ ნარჩენი ღირებულება სერიოზულად არ განსხვავდებოდეს ანგარიშგების თარიღისათვის სამართლიანი ღირებულებისაგან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად გაზრდილი ღირებულება აღირიცხება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ანგარიშის დაკრედიტებით, გარდა იმ შემთხვევისა თუკი ის ამცირებს წინა პერიოდებში აღიარებულ გადაფასების შედეგად მიღებულ ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში, ზრდა აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშზე წინა პერიოდში აღიარებული ხარჯების ოდენობით. გადაფასების შედეგად გამოწვეული ნარჩენი ღირებულების შემცირება აღირიცხება წინა პერიოდში წარმოშობილი გადაფასების რეზერვის ანგარიშის შემცირებით.

გადაფასებული შენობების ცვეთა აისახება მოგება-ზარალის უწყისში. გადაფასებული ძირითადი საშუალებების შემდგომი მოხმარებისას გადაფასების ნარჩენი ღირებულება, რომელიც გადაფასების რეზერვში რჩება პირდაპირ აისახება გაუნაწილებელ მოგებაში. რეალიზებული გადაფასების ნარჩენი ღირებულება არის სხვაობა აქტივების გადაფასების ნარჩენი ღირებულებით ასახულ და აქტივების ისტორიული ღირებულებაზე დაფუძნებულ ცვეთას შორის.

შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულება შემდეგი სამი მეთოდით ფასდება:

შეფარდებითი გაყიდვის მეთოდი, რომელიც მოიცავს მსგავსი უძრავი ქონების საბაზრო გასაყიდი ფასების ანალიზს;

შემოსავალზე დამყარებული მეთოდი, რომელიც აფასებს პირდაპირ დამოკიდებულებას უძრავი ქონებით გენერირებულ შემოსავლებსა და საბაზრო ღირებულებას შორის;

ღირებულებაზე დამყარებული მიდგომა, რომელიც უძრავი ქონების ღირებულებას ითვალისწინებს მისი აღდგენითი ღირებულების შესაბამისად ცვეთის ხარჯების გამოკლებით.

საგადასახადო დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობიდან მიღებული დასაბეგრი ბაზის საფუძველზე და საბალანსო უწყისში აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძველიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომლებიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე საბუღალტრო მოგებაზე.

შენიშვნა-რეკომენდაცია

აღნიშნავთ რომ ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2015 წელს ყველა ძირითად ასპექტში გაწეული დანახარჯები აღრიცხულია არსებითი უზუსტობების გარეშე, შესწორების სახით ჩვენს მიერ დაზუსტებული დეკლარაციები არ გამოვლენილა

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური მართვის ჯგუფი

29 ივნისი, 2016 წელი

თბილისი, საქართველო

